

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი/ LAW

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: სამართალი 0421

უმაღლესი განათლების საფეხური: აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი), მეექვსე დონე

ფაკულტეტი: სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციის კოდი: სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა (ECTS): 180

პროგრამის ხელმძღვანელი: კახი ყურაშვილი, პროფესორი, სამართლის დოქტორი, ტელ.: 595171717, ელ. ფოსტა: [kakhi.qurahsvili@thu.edu.ge](mailto:kakhi.qurahsvili@thu.edu.ge)

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის უცხო ენად ჩაბარული აქვს ინგლისური ენა. მოპოვებული ქულა ინგლისურ ენაში უნდა იყოს მინიმუმ - 35 ქულა. ამასთან, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო არჩევით საგანად განსაზღვრულია გამოცდა ისტორიაში, მათემატიკასა ან სამოქალაქო განათლებაში. თითოეული საგნისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობას ყოველწლიურად განიხილავს და განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი

წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხოელთა ჩარიცხვა ან უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოყვანის წესით სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### პროგრამის მიზნები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

- სტუდენტს შესძინოს სისტემატიზირებული და ინტეგრირებული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის და ძირითადი პრინციპების, სამართლის მეთოდების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მოწესრიგების თავისებურებების შესახებ;
- სტუდენტს გამოუმუშავოს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირების, სამართლის წყაროებისა და მეთოდების გამოყენებით ანალიზის, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების უნარი;
- სტუდენტს გამოუმუშავოს იურიდიული დოკუმენტების, მათ შორის, არგუმენტირებული სამართლებრივი დასკვნების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად - საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი; იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- სტუდენტმა გაიაზროს იურიდიული პროფესიით საქმიანობის მორალური სტანდარტები და ეთიკური პრინციპები, გამოიმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში - სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარი;
- სტუდენტს გამოუმუშავოს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

### პროგრამის სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

PLO 1. აღწერს და განმარტავს სამართლის არსს, სისტემას, წყაროებს, პრინციპებს, მეთოდებს, სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, მათ შორის, საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის ძირითად თეორიებს, მიზნებს, ამოცანებს, ცნებებს, პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, მათი განვითარების ტენდეციებს, კრიტიკულად განიხილავს მათ;

PLO 2. ახასიათებს სამართლის მნიშვნელობას სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებაში, სახელმწიფოს არსს და ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის ღირებულებით მნიშვნელობას.

### უნარები:

PLO 3. ამოიცნობს სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, აანალიზებს მათ და სტანდარტული ან/და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს, რა დროსაც, შესაბამისი სამართლის წყაროების (ნორმების) გამოყენებით, აფასებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, აყალიბებს დასაბუთებულ სამართლებრივ პოზიციასა და დასკვნებს, შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას, ტაქტიკასა და გადაწყვეტის იურიდიულ კონსტრუქციას;

PLO 4. მოიძიებს, ამუშავებს და აფასებს სამართლებრივ ინფორმაციას, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით, იყენებს მათ პროფესიულ საქმიანობაში;

PLO 5. ამზადებს სამართლებრივ დოკუმენტებს, მათ შორის, ხელშეკრულებებს, სამართალშეფარდებით/საპროცესო აქტებს, ინდივიდუალური და ნორმატიული აქტების პროექტებს, სამართლებრივ დასკვნებს/მოსაზრებებს, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით; შეიმუშავებს აკადემიური სტანდარტების დაცვითა და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, კვლევით და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს;

PLO 6. აყალიბებს და წარადგენს სამართლებრივ პოზიციას სამართლებრივი პრობლემისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, ზეპირი და წერიტი ფორმით, შესაბამისი იურიდიული ტერმინოლოგიისა და არგუმენტაციის, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

### პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

PLO 7. მოქმედებს იურისტის პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად; სამართლებრივი ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემით, საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართავს პროფესიულ საქმიანობას.

PLO 8. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი ცოდნისა და უნარების მუდმივად განახლებისა და პროფესიული განვითარების პროცესს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

### პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 3 წელს ანუ 6 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

### პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო სასწავლო პროგრამა შედგება I. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების 25 ECTS, II. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების/მოდულების 129 ECTS, III. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების 26 ECTS ან/და IV. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისაგან 10 ECTS.

#### I. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (25 ECTS)

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები შედგება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების (4 ECTS), აკადემიური წერის (4 ECTS), ქართული ენის სპეციალური კურსისა (5 ECTS), ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების (2 ECTS) და უცხო ენის სასწავლო კურსებისაგან (10 ECTS).

##### 1.1. ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები

ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსების საფუძველზე სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში. ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტთა წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე. ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 15 კრედიტი.

## 1.2. უცხო ენის (ინგლისური ენა) სასწავლო კურსები

ინგლისური ენის სასწავლო კურსები ორიენტირებულია ინგლისური ენის გაღრმავებულ შესწავლაზე და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე.

უცხო ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 10 კრედიტის მოცულობით, 2 სასწავლო სემესტრის განმავლობაში. ამასთან, II სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტი შეისწავლის სპეციალობისათვის რელევანტურ ინგლისურ ენას.

## II. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები (129 ECTS)

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს/მოდულებს ეთმობა 129 ECTS კრედიტი და შედგება სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების (11 ECTS), საჯარო სამართლის მოდულის სასწავლო კურსების (28 ECTS), კერძო სამართლის მოდულის სასწავლო კურსების (43 ECTS), სისხლის სამართლის მოდულის სასწავლო კურსების (20 ECTS), საერთაშორისო სამართლის მოდულის სასწავლო კურსების (9 ECTS) და ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სასწავლო კურსებისგან (18 ECTS).

### 2.1. სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები

სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები უყალიბებს სტუდენტს დარგობრივი დისციპლინების დაუფლებისათვის სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნების საწყის უნარებს, ასწავლის სამართლის თეორიულ საფუძვლებსა და სამართლის ზოგად პრინციპებს, სამართლებრივი ანალიზის, ინტერპრეტაციისა და იურიდიული მსჯელობის მეთოდებს, იურიდიულ არგუმენტაციასა და სამართლებრივი ლოგიკის საფუძვლებს, ძველი ქართული სამართლის წყაროებსა და ინსტიტუტებს. სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 11 კრედიტი.

## 2.2 საჯარო სამართლის მოდულის სასწავლო კურსები

საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სახელმწიფოს მოწყობისა და კონსტიტუციური წესრიგის, საჯარო ხელისუფლების ორგანიზებისა და ფუნქციონირების, საჯარო მმართველობის განხორციელებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი საფუძვლებისა და შესაბამისი სამართალწარმოების მექანიზმების სისტემატიზებულ შესწავლას. საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 28 კრედიტი.

## 2.3. კერძო სამართლის მოდულის სასწავლო კურსები

კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები უზრუნველყოფს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების (მათ შორის შრომისა და კორპორაციული სამართლის) რეგულირების პრინციპებისა და ინსტიტუტების, აგრეთვე შესაბამისი სამართალწარმოების საფუძვლების სისტემატიზებულ შესწავლას. კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 43 კრედიტი.

## 2.4. სისხლის სამართლის მოდულის სასწავლო კურსები

სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები უზრუნველყოფს დანაშაულისა და სასჯელის, ასევე სისხლის სამართლის პროცესის სამართლებრივი საფუძვლების სისტემატიზებულ შესწავლას. სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 20 კრედიტი.

## 2.5. საერთაშორისო სამართლის მოდულის სასწავლო კურსები

საერთაშორისო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლის სისტემის, პრინციპების, ინსტიტუტების, პასუხისმგებლობის მექანიზმების, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის ეროვნულ სამართლებრივ სისტემასთან ურთიერთმიმართების, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის მექანიზმების სისტემატიზებულ შესწავლას. საერთაშორისო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 9 კრედიტი.

## 2.6. ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები

ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სავალდებულო სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სამართლის სფეროში პრაქტიკული და კვლევითი უნარების, პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის პრინციპების გააზრებასა და მათ პრაქტიკაში გამოყენებას. ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სავალდებულო სასწავლო კურსების/კომპონენტების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 18 კრედიტი.

### III. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები (26 ECTS)

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები შედგება სპეციალობის საბაზისო არჩევითი სასწავლო კურსების, საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების, საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების, კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების, სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების და ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი არჩევითი სასწავლო კურსებისგან.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების სფეროში ან საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში ან განიმტკიცოს პრაქტიკული უნარები. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 26 კრედიტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სტუდენტი პროგრამით დაშვებული მოცულობით ირჩევს თავისუფალი კომპონენტის არჩევით სასწავლო კურსს (10 ECTS). ამ შემთხვევაში, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების ხარჯზე სტუდენტი დააგროვებს, ნაცვლად 26 კრედიტისა - 16 კრედიტს.

### IV. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (10 ECTS)

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს, თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში, უფლება აქვს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა უსდ-ის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან, წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურს(ებ)ი, მაგრამ არა უმეტეს 10 კრედიტისა.

#### სწავლება-სწავლის მეთოდები:

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამართლის სფეროში არსებული რეალური პრობლემებისა და გამოწვევების ანალიზს, პრაქტიკულ სიტუაციებზე დაფუძნებულ სწავლებას, არგუმენტირებული მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. სწავლა-სწავლების

პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები და აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას და სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევასა და გათვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა და სხვ. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ანვითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (collaborative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრეზენტაცია, კვლევითი და ანალიტიკური დავალებები, კაზუსზე მუშაობა, იმიტირებული პროცესები/სიმულაციური სავარჯიშოები და სხვ. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

## სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმში, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასწავლო აქტივობები (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრეზენტაცია, დებატებში, დისკუსიაში მონაწილეობა, წერიტი და ზეპირი დავალებების შესრულება და სხვ.): მინიმუმ 24 ქულა; შუალედური გამოცდა: მინიმუმ 11 ქულა; დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 16 ქულა.

გამონაკლისია, პროფესიული პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის სასწავლო კურსები, სადაც გამოიყენება „საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესით“, ასევე, „პროფესიული (სასწავლო/საწარმოო) პრაქტიკის შესრულების ინსტრუქციით“ განსაზღვრული განსხვავებული კომპონენტები და მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

შეფასების სისტემა უშვებს:

**ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

**ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო

კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

### დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში;
- კერძო სამართლის იურიდიულ პირებში;
- არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, მათ შორის საერთაშორისო და უფლებადამცავ ორგანიზაციებში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია განახორციელოს საადვოკატო, სანოტარო ან საარბიტრაჟო საქმიანობა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

## მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- კომპიუტერებით, პროექტორებითა და საპროექციო ეკრანებით, ასევე სხვა სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკა;
- იმიტირებული პროცესებისათვის მოწყობილი აუდიტორია.

საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებულ ბეჭდურ და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, ინტერნეტ-რესურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო-მეთოდურ მასალას, რომლის შევსება-განახლება ხდება ყოველწლიურად.

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საინფორმაციო საძიებო სისტემა ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), ასევე შემდეგი საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები, ბმულები:

- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - <http://www.nplg.gov.ge>
- ციფრული ბიბლიოთეკა - ივერიელი - <http://dSPACE.nplg.gov.ge>
- სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (ELL) - <http://library.court.ge>

- HeinOnline - <https://home.heinonline.org/> და სხვ.

ა(ა)იპ „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“-სა და შპს - „თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“, „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – eIFL“ მონაწილეთა კონსორციუმის წევრია და შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს მრავალფეროვანი ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსები, ელექტრონული ჟურნალები და სხვა ელექტრონული მასალები [<https://www.dukeupress.edu>, <https://www.elgaronline.com/page/70/journals>, <https://us.sagepub.com/en-us/nam/home>].

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული სხვადასხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული არიან შემდეგი ორგანიზაციები და დაწესებულებები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლო;
- რუსთავის საქალაქო სასამართლო;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
- საქართველოს ნოტარიუსთა პალატა;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;
- კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- ქალაქ რუსთავის მერია;
- ააიპ ინოვაციების განვითარების ფონდი;
- ააიპ სოციალურ კულტურული განვითარების ცენტრი;
- სს სილქნეტი;
- ააიპ კონსტიტუციურ-სამართლებრივ საკითხთა კვლევის ჯგუფი;

- ააიპ სამოქალაქო განათლების ცენტრი;
- შპს იურისტ ფსიქოლოგთა ჯგუფი;
- საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია.
- იურიდიული საკონსულტაციო კომპანია „სკ“.

### ინტერნაციონალიზაცია:

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი შეესაბამება თქუ მისიასა და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმას. უნივერსიტეტს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი ორიენტირებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარებაზე, სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის გაზრდასა და გლობალიზებულ გარემოში აქტიურობის ხელშეწყობაზე, კურსდამთავრებულთა საზღვარგარეთ სწავლის/დასაქმების გაგრძელებისთვის საჭირო უნარებით აღჭურვაზე. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ინტენსიური პარტნიორული ურთიერთობები ჩამოყალიბებულია შემდეგ საგანმანათლებლო და კვლევით ორგანიზაციებთან:

1. Istanbul Ticaret University (თურქეთის რესპუბლიკა)
2. სამართლის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა)
3. ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბელარუსი)
4. ლოდის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ეკონომიკის უნივერსიტეტი (პოლონეთი);
5. მიკოლას რომელის უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
6. ინსუმბრიის უნივერსიტეტი (იტალია);
7. პიტესტის უნივერსიტეტი (რუმინეთი);
8. ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია);
9. ინდონეზიის STEKOM მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ინდონეზია)
10. INTI საერთაშორისო უნივერსიტეტი (მალაიზია)

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	ECTS კრედიტი /საათი	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა		დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი
				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები		
<b>I. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (25 ECTS)</b>							
<b>1.1. ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები (15 ECTS)</b>							
1	თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები	BLAW 1001	4/100	33	67	არ გააჩნია	1
2	აკადემიური წერა	BLAW 1002	4/100	33	67	არ გააჩნია	1
3	ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები (ქართ. / ინგ.)	BLAW 1003	2/50	33	17	არ გააჩნია	2
4	ქართული ენის სპეციალური კურსი	BLAW 1004	5/125	47	78	არ გააჩნია	1
<b>1.2. ინგლისური ენის სასწავლო კურსები (10 ECTS)</b>							
1	ინგლისური ენა (B1)	BLAW 2001	5/125	47	78	არ გააჩნია	1
2	ინგლისური ენა იურისტებისთვის (B2)	BLAW 2002	5/125	47	78	BLAW 2001	2
<b>II. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები (129 ECTS)</b>							
<b>2.1. სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები (11 ECTS)</b>							
1	შესავალი სამართალმცოდნეობაში	BLAW 3001	4/100	33	67	არ გააჩნია	1
2	ქართული სამართლის ისტორია	BLAW 3002	4/100	33	67	არ გააჩნია	1
3	სამართლის მეთოდები	BLAW 3003	3/75	33	42	BLAW 3001	2
<b>2.2. საჯარო სამართლის მოდული (28 ECTS)</b>							
1	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში	BLAW 4001	4/100	33	67	არ გააჩნია	1
2	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	BLAW 4002	5/125	47	78	BLAW 4001	2
3	ადამიანის ძირითადი უფლებები	BLAW 4003	5/125	47	78	BLAW 4001	2
4	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	BLAW 4004	5/125	47	78	BLAW 4002	3
5	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	BLAW 4005	5/125	47	78	BLAW 4004	5
6	საკონსტიტუციო მართლმსაჯულება	BLAW 4006	4/100	33	67	BLAW 4003	4

2.3. კერძო სამართლის მოდული (43 ECTS)

1	შესავალი სამოქალაქო სამართალში	BLAW 5001	5/125	47	78	არ გააჩნია	2
2	სანივთო (ქონებრივი) სამართალი	BLAW 5002	5/125	47	78	BLAW 5001	3
3	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	BLAW 5003	5/125	47	78	BLAW 5001	3
4	სახელშეკრულებო სამართალი	BLAW 5004	4/100	33	67	BLAW 5003	4
5	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	BLAW 5005	4/100	33	67	BLAW 5003	4
6	საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	BLAW 5006	5/125	47	78	BLAW 5002 BLAW 5003	4
7	შრომის სამართალი	BLAW 5007	5/125	47	78	BLAW 5004	5
8	სამოქალაქო საპროცესო სამართალი	BLAW 5008	6/150	61	89	BLAW 5002 BLAW 5004 BLAW 5005 BLAW 5006	5
9	საკორპორაციო სამართალი	BLAW 5009	4/100	33	67	BLAW 5004	5

2.4. სისხლის სამართლის მოდული (20 ECTS)

1	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	BLAW 6001	5/125	47	78	არ გააჩნია	2
2	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)	BLAW 6002	4/100	33	67	BLAW 6001	3
3	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II (დანაშაულის სხვა სახეები)	BLAW 6003	4/100	33	67	BLAW 6002	4
4	სისხლის სამართლის პროცესი	BLAW 6004	7/175	61	114	BLAW 6003	5

2.5. საერთაშორისო სამართლის მოდული (9 კრედიტი)

1	საერთაშორისო საჯარო სამართალი	BLAW 7001	5/125	47	78	BLAW 4003	3
2	ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი (ქართ., ინგ.)	BLAW 7002	4/100	33	67	BLAW 7001 BLAW 2002	4

2.6. ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები (18 კრედიტი)

1	იურიდიულ პროფესიათა ეთიკა	BLAW 8001	5/125	47	78	BLAW 4005 BLAW 4006 BLAW 5008	6
---	---------------------------	-----------	-------	----	----	-------------------------------------	---

						BLAW 6004	
2	პროფესიული პრაქტიკა	BLAW 8002	7/175	160	15	BLAW 4005 BLAW 4006 BLAW 5008 BLAW 6004	6
3	საბაკალავრო ნაშრომი	BLAW 8003	6/150	30	120	111 ECTS (I-V სემ-ბის ძირ. სწ. სფეროს. სავალ. საგნები)	6
<b>III. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები (26 ECTS)</b>							
<b>3.1. სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები</b>							
1	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	BLAW 3004	5/125	47	78	არ გააჩნია	4,6
2	შესავალი სამართლის ფილოსოფიაში	BLAW 3005	3/75	33	42	არ გააჩნია	3,5,6
<b>3.2. საჯარო სამართლის მოდული</b>							
1	საარჩევნო სამართალი	BLAW 4007	3/75	33	42	BLAW 4002	3,5,6
2	ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	BLAW 4008	5/125	47	78	BLAW 4004	4,6
3	კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია საჯარო სამართალში	BLAW 4009	3/75	33	42	BLAW 4003 BLAW 4004	5,6
4	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი (ქართ., ინგ.)	BLAW 4010	4/100	33	67	BLAW 4003	6
5	სააღსრულებო სამართალი	BLAW 4011	5/125	47	78	BLAW 4006	6
6	ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	BLAW 4012	3/75	33	42	BLAW 4002	3,5,6
<b>3.3. საერთაშორისო სამართლის მოდული</b>							
1	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ქართ., ინგ.)	BLAW 7003	3/75	33	42	BLAW 7001 BLAW 2002	5,6
2	ევროკავშირის სამართალი	BLAW 7004	5/125	47	78	BLAW 7001 BLAW 2002	4

3	საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი	BLAW 7005	4/100	33	67	BLAW 7001 BLAW 2002	6
4	საერთაშორისო საჰაერო სამართალი	BLAW 7006	3/75	33	42	BLAW 7001 BLAW 2002	5,6
<b>3.4. კერძო სამართლის მოდული</b>							
1	გადახდისუუნარობის სამართალი	BLAW 5010	5/125	47	78	BLAW 5008	6
2	საერთაშორისო კერძო სამართალი	BLAW 5011	3/75	33	42	BLAW 5004	5, 6
3	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (ქართ., ინგ.)	BLAW 5012	5/125	47	78	BLAW 5004	6
4	სანოტარო სამართალი	BLAW 5013	5/125	47	78	BLAW 5009	6
5	კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია კერძო სამართალში	BLAW 5014	3/75	33	42	BLAW 5003	5,6
6	ხელშეკრულების შედგენის მეთოდოლოგია კერძო სამართალში	BLAW 5015	3/75	33	42	BLAW 5004	5,6
7	დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები	BLAW 5017	5/125	47	78	BLAW 5008	6
<b>3.5. სისხლის სამართლის მოდული</b>							
1	კრიმინოლოგია	BLAW 6005	4/100	33	67	BLAW 6003	6
2	პენიტენციური სამართალი	BLAW 6006	4/100	33	67	BLAW 6003	6
3	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია და სასჯელის შეფარდება	BLAW 6007	3/75	33	42	BLAW 6003	5,6
4	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	BLAW 6008	4/100	33	67	BLAW 6003	6
5	კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია სისხლის სამართალში	BLAW 6009	3/75	33	42	BLAW 6001	5,6
6	დაცვის ხელოვნება	BLAW 6010	5/125	47	78	BLAW 6004	6
<b>3.6. ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები</b>							
1	საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი	BLAW 8004	5/125	47	78	BLAW 4006 BLAW 4007	6
2	კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი	BLAW 8005	5/125	47	78	BLAW 5008	6
3	სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი	BLAW 8006	5/125	47	78	BLAW 6004	6
<b>IV. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (10 ECTS)</b>							

სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო სემესტრული განაწილება

№	1 სემესტრი (30 ECTS)	ECTS	№	2 სემესტრი (30ECTS)	ECTS
1	ქართული ენის სპეციალური კურსი	5/125	1	ინგლისური ენა იურისტებისთვის (B2)	5/125
2	თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები	4/100	2	ადამიანის ძირითადი უფლებები	5/125
3	აკადემიური წერა	4/100	3	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	5/125
4	შესავალი სამართალმცოდნეობაში	4/100	4	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	5/125
5	ქართული სამართლის ისტორია	4/100	4	შესავალი სამოქალაქო სამართალში	5/125
6	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში	4/100	6	სამართლის მეთოდები	3/75
7	ინგლისური ენა (B1)	5/125	7	ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები (ქართ. / ინგ.)	2/50
№	3 სემესტრი (30 ECTS)	ECTS	№	4 სემესტრი (30 ECTS)	ECTS
1	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	5/125	1	საკონსტიტუციო მართლმსაჯულება	4/100
2	სანივთო (ქონებრივი) სამართალი	5/125	2	საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	5/125
3	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	5/125	3	სახელშეკრულებო სამართალი	4/100
4	საერთაშორისო საჯარო სამართალი	5/125	4	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	4/100
5	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)	4/100	5	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II (დანაშაულის სხვა სახეები)	4/100
6	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები ან თავისუფალი კომპონენტი	3/75	6	ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი	4/100
7	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები ან თავისუფალი კომპონენტი	3/75	7	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები	5/125
№	5 სემესტრი (30 ECTS)	ECTS	№	6 სემესტრი (30 ECTS)	ECTS
1	სამოქალაქო საპროცესო სამართალი	6/150	1	იურიდიულ პროფესიათა ეთიკა	5/125
2	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	5/125	2	პროფესიული პრაქტიკა	7/175
3	საკორპორაციო სამართალი	4/100	3	საბაკალავრო ნაშრომი	6/150

4	შრომის სამართალი	5/125	4	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები ან თავისუფალი კომპონენტი	5/125 ან 4/100
5	სისხლის სამართლის პროცესი	7/175	5	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები	3/75 ან 4/100
6	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები ან თავისუფალი კომპონენტი	3/75	6	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები	4/100

№	მოდული/საგანი	პროგრამის სწავლის შედეგები							
		1	2	3	4	5	6	7	8
